საქართველო ლენინურ ვახტაზე!

მაღალი ხილდო გვაქვალებს, აღგვაფრთოვანებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 მაისი ხუთშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 117 (14417)

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებას, აგრეთვე იმ დარგებს, რომლებიც მას ემსახურებიან, შევუქმნით მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. საჭიროა კვლავაც ალვჭურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანური ტექნიკით, დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილებანი მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ საშუალებებზე, ფართო მასშტაბებით მოვაწყოთ სამელიორაციო სამუშაოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან.

ეს რას უნდა მივაღწიოთ 1969 წელს

სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს (ტონობით)	
ჩაი	215.000
ყურძენი	300.000
მარცვლეული	90.000
ხილი	140.000
შაქრის ჭარხალი	130.000
ბოსტნეული	130.000
ციტრუსები	30.000
კარტოფილი	60.000
ხორცი	60.000

თბილისი. 1969 წლის 21 მაისი. სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ პარტიული და სამეურნეო აქტივის კრების პრეზიდიუმში; მარჯვნივ — კრების დარბაზში.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

ახალი წარმატებებისაკენ, სოფლის მშრომელებო!

საქართველოს სს რესპუბლიკას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ამ დიდი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. თითოეული მშრომელი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საამობლოს შემდგომ აყვავებასა და ძლიერების განმტკიცებაში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შესახებ, ხუთწლედის მესამე წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს, გადაჭარბებითაა შესრულებული მარცვლის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსის, შაქრის ჭარხლის, დაფნის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

საქართველოს სს რესპუბლიკა ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და 1968 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის მიანიჭეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ სასიხარულო მოვლენას მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო აქტივისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გაერთიანებული კრება.

თბილისის ლენინის ორდენოსან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტისა და მშენებლობების კოლექტივების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

კრების პრეზიდიუმში არიან **ვ. პ. მეავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კეკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი,** სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **რ. ნ. სიდაკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ა. ი. კუზნეცოვი,** წარმოების ნოვატორები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მეავანაძემ.**

ასრულებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **რ. ნ. სიდაკი.**

თავის სიტყვაში მან დაწვრილებით ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებსაც რესპუბლიკამ მიაღწია ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, შეეხო სოფლის მეურნეობის მშრომელთა ამოცანებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შემდგომ გადიდებაში.

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, — თქვა ამხ. სიდაკმა, — 1968 წელს მიაღწიეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომ აღმავლობას და ღირსეული წვლილი შეიტანეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ცალკი ამინდის მიუხედავად საქართველოს მიწათმოქმედებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის დავალებით, — თქვა დასასრულ ამხ. სიდაკმა, — ნება მიბრძანეთ მივულოცო საქართველოს მშრომელებს და გადავცე საქართველოს სს რესპუბლიკას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხ. სიდაკმა დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ. დ. ჯავახიშვილს.**

საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. **გ. ჯავახიშვილი.** მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს მშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაღალი ჯილდოსათვის და აღუთქვა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები და მთელი ქართველი ხალხი ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა გაამრავლონ მიღწეული წარმატებანი და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადებას 100 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

— ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველომ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, — დიდი კმაყოფილებითა და სიამაყით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ამ სიხარულმა გამოიწვია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა მაღალი შრომითი აღმავლობა.

გასულ წელს ჩვენი სოფლის მშრომელებმა წარმატებანი მოიპოვეს არახელსაყრელ ამინდის პირობებში. იმით, რომ გამოიყენეს მეცნიერების მიღწევები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა შეძლეს გადაელახათ სიძნელენი და გაიდიდებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ჩვენს წარმატებებს სოფლის მეურნეობაში მოწმობს ის ფაქტიც, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მოიპოვეს წითელწყაროს რაიონმა, გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობამ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კოლმეურნეობამ, ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობამ, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ.

ამას გარდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭა რესპუბლიკის 12 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

ცნობილია, რომ დროშის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვება. ამიტომ საპატიო ჯილდო გვავალებს ვიშრომოთ კიდევ უფრო ენერგიულად, რათა გადავწყვიტოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უფრო რთული ამოცანები.

კრებაზე გამოვიდნენ სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. ჯანგულაშვილი,** თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. გაჩეჩილაძე,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი **კ. ქინქლაძე,** გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **დ. გოგობერიშვილი,** გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **მ. გასანოვი,** საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი **ვ. მამათელაშვილი.**

კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა **ვ. პ. მეავანაძე.** მან გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები მაღალ ჯილდოს უპასუხებენ ახალი კიდევ უფრო დიდი წარმატებებით სამშობლოს სასახელოდ.

ამით დამთავრდა კრება.

ეღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. (საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის შეხვედრა ლენინგრადში

19-21 მაისს ლენინგრადში, ურთიერთ შეთანხმებით, მოეწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის არაოფიციალური შეხვედრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ურხო კ. კეკონენთან.

შეხვედრის დროს ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ და აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე. სახელმწიფო მოღვაწეთა საუბრებს მეგობრული გულახდილი ხასიათი ჰქონდა.

ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და საერთო-ევროპული თანამშრომლობის საკითხებზე. მათ გამოთქვეს სსრ კავშირისა და ფინეთის მთავრობათა მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ყოველი ღონე იხმარონ ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ ფინეთის მთავრობის მზადყოფნა აქტიურად შეუწყოს ხელი სრულიად ევროპის თათბირის მოწყობას ევროპის უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხების განსახილველად — ძვირფასი წვლილია ევროპის მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებებში.

გამოითქვა აზრი, რომ ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას ხელს შეუწყობდა ისეთი მდგომარეობა, როცა მთელი ეს რაიონი სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების სფეროს გარეთ იქნებოდა.

ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა აღიარეს, რომ ეს შეხვედრა, რომელიც ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა ტრადიციული პირადი კონტაქტების განგრძობაა. სასარგებლოა და შეესაბამება საბჭოთა ხალხსა და ფინელ ხალხს შორის მეგობრობისა და ფართო ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს.

21 მაისს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კ. კეკონენი სამშობლოში გაემგზავრა.

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

21 მაისს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ლენინგრადში იყო, სადაც არაოფიციალური შეხვედრა ჰქონდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უ. კ. კეკონენთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გულგარეთში გაემგზავრა

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მიწვევით 21 მაისს მოსკოვიდან სოფიაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ჩერკასის საოლქო ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. გ. ნაგა, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მ. გ. ნერსესიანი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი, მინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი ნ. ნ. სლიუნკოვი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუსაველი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ბ. სოლომონია, სსრ კავშირის გაჭრობის მინისტრი ა. ი. სტრუევი, „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ლ. ნ. ტოლჩუნოვი, გორკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. ჩუგუნოვი. (საქდესი).

განვიხილავთ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტს

ეროზია ნიადაგის მტერია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სათანადოდ ზრუნავენ მიწის მაღალნაყოფიერად გამოყენების საკითხზე, დიდ ყურადღებას აქცევენ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელი ღონისძიებების დაცვას, რომელიც შელიორაციის საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტში ვკითხულობთ: „კოლმეურნეობა კისრულობს გალდებულებას რაც შეიძლება სრულად და სწორად იყენებდეს და განუწყვეტლივ აუმჯობესებდეს მისთვის მიჩენილ მიწას, ამაღლებდეს მის ნაყოფიერებას, ამორციელებდეს მიწების მორწყვისა და ამოშრობის, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, უკლიდეს და კარგად იცავდეს საკოლმეურნეო მიწებს განიავებისაგან, იცავდეს ტყეებით, წყლის წყაროებითა და სასარგებლო წიაღისეულით (ქვიშა, თიხა, ქვა, ტორფი და სხვ.) სარგებლობის დადგენილ წესებს". წესდების პროექტის ამ მუხლზე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები ყოველდღიურად შემოქმედებითად უნდა ზრუნავდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ ნიადაგების ეროზია ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებით უარყოფითს გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მწყობრიდან გამოიყვანს სასოფლო-სამეურნეო საკარგულთა დიდი ფართობები, ხოლო ცალკეულ რაიონებში პირდაპირ დამუშავებულად მოქმედებს მიწაზე.

ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი, ხოლო საქართველოს ტერიტორიის 64 პროცენტი მთაგორიანია. მთაგორიან რაიონებში განლაგებულ მიწის საკარგულებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ამ რაიონებში ხარობს ძვირფასი მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურები. მთაგორიანი რელიეფი ხელს უწყობს აგრეთვე მეცხოველეობის დარგების განვითარებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი რაიონების და კერძოდ — ბევრი საზოგადოებიანი მეურნეობის ეკონომიკაში.

ზოგიერთ მთაგორიან რაიონში კოლისპირული წვიმები დიდად დაქანებული ფერდობების ნიადაგების ნაყოფიერ ფენას ინტენსიურად ჩამორეცხავს ხოლმე, რაც ხშირ შემთხვევაში პირუტყვის უსისტემო ძოვებისა და ტყის გაჩეხვის მიზეზით ანის გამოწვეული. ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მოვლენები იწვევს არა მარტო ნიადაგის ჩამორეცხვას და დაშლას, არამედ მის ჩამოზვავებასაც, რასაც შართან ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ჩვენი აზრით წესდების პროექტის განხილვისას ამ რაიონების კოლმეურნეობებმა ეროზიასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი უნდა შეიმუშაონ.

მთაგორიანი ტერიტორიის ნიადაგთა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად მიჩნეულია ფერდობებზე ტყეების დაცვა და აღდგენა, პირუტყვის ძოვების მკაცრი რეგულირება, ამასთან დიდი დაქანების ფერდობები ყოველთვის დაფარული უნდა იყოს ხშირი ტყეებით და ბალახეული მცენარეებით.

ნიადაგების ეროზია დიდ ზიანს აყენებს აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს — ანგრევს გზებს, მიწით ავსებს წყალსაცავებს და სხვა. მაგრამ ეროზიის შედეგები უფრო მძიმე და სახიფათოა სოფლის მეურნეობისათვის, იგი აქვეითებს და ზოგჯერ მთლიანად ანადგურებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, რომელიც შექმნილია ათასეული წლების მანძილზე მიმდინარე სხვადასხვა ბუნებრივი პროცესებით.

წესდების პროექტში ნათქვამია, რომ „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს ეძლევათ სარგებლობისათვის, არის საერთო სახალხო სახელმწიფო საკუთრება..." სწორედ ამ მიწას უნდა გავუფრთხილდეთ, სწორედ ამ მიწას უნდა მოვეკაჭოთ ისე, როგორც ნავდილ მარჩენალს, მკვებავს. ყოველი მტკვალი მიწის სიუხვის სამსახურში ჩაყენებისათვის ზრუნვა პარტიული და სამეურნეო ორგანოების საპატიო მოვალეობაა.

როგორც ცნობილია საქართველო საბჭოთა კავშირში ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული და ამიტომ მცირემიწიანი რესპუბლიკაა. ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 0,59 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საკარგულები, მათ შორის სახნავი — 0,18 ჰექტარი. მიწის ასეთი სიმცირის გამო ძლიერ დიდი და რთული ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა წინაშე ნიადაგის დაცვის და სასოფლო-სამეურნეო საკარგულების მოლიანად და რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ამჟამად ძალზე შეზღუდულია სოფლის მეურნეობისათვის გარკვეული მიწების არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა-გამოყენება. ყოველწლიურად ხორციელდება ღონისძიებანი წყალსეულის გამომემაგების შემდეგ განმზავრებულ ფართობების სოფლის მეურნეობის სამსახურში დაბრუნებისათვის და გამოუსადეგარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენისათვის.

ითვალისწინებდნენ რა ჩვენი რესპუბლიკისათვის ნიადაგების დაცვის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ 1961 წლის ივლისში, შემდეგ კი 1962 წლის აგვისტოში და 1965 წლის თებერვალში სპეციალურად განხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვას, ფერდობების დატერასებასა და მეწყერული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას.

მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, „საქსოფლტყეშნიკის" რაიონულმა განყოფილებებმა და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სეროზული მუშაობა გასწიეს. ციცაბო ფერდობებზე, ხრამებში, ხევებში და სხვა უმარჯვ მიწებზე ნაათვეს 14.400 ჰექტარი ტყე, დაატყვეს 600 ჰექტარი ფერდობები, სახელმწიფო ტყის ზოლები ნაშენეს 3.500 ჰექტარზე, მინდორსაცავი ტყის ზოლები — 3.000 ჰექტარზე და გამოიკვლიეს 2 მილიონამდე ჰექტარი ნიადაგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის მარტის დადგენილებით დასახული დიდი პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მარშანწინ ივნისში დაამტკიცეს 1968-1970 წლებში რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელი ფართო ღონისძიებანი, რომლითაც გათვალისწინებულია: მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება 15 ათას ჰექტარზე, ხრამების, ხევების და სხვა უმარჯვ მიწების გამაგრება და მოტყეევება 8 ათას ჰექტარზე, ციცაბო ფერდობების დატერასება 3 ათას ჰექტარზე, ნიადაგების გამოკვლევა 1.200 ათას ჰექტარზე, საკოლმეურნეო ტყეების მოწყობა 188 ათას ჰექტარზე, ეროზიის და დფაროფების საწინააღმდეგო პიდროტექნიკური ნაგებობათა მშენებლობა 17 მილიონი მანეთის მოცულობით; დაწესებულია ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობა 3 მილიონი მანეთის ოდენობით.

ამავე დადგენილებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, ეკავლებათ ჩაატარონ მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, აგრეთვე სახელმწიფო მარაგის მიწებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებთა კომპლექსის განხორციელებისათვის და დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა შესაბამის ორგანიზაციულ-სამეურნეო და აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთ მეურნეობებზე მიმაგრებულ მიწების სწორად გამოყენებისათვის, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია შესასრულოს ეროზიის საწინააღმდეგო პიდროტექნიკურ და ღონაცვლების სანინააღმდეგო ნაგებობათა, აგრეთვე გუბურების და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოები.

გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" უნდა უზრუნველყოს ფერდობების დატერასების, აგრეთვე გუბურების და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ხევების, ღელეებისა და სხვა უმარჯვ მიწების ტყეებით, ბალახეულობით მოტეევების სამუშაოებს, აგრეთვე უნდა გამოიყენონ სარგავი მასალა იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებიც საკუთარი ძალებითა და სახსრებით აშენებენ მინდორსაცავ ტყის ზოლებს.

როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის დადგენილება ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების საქმეში?

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საპროექტო ინსტიტუტებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც დასახული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის დადგენილებით.

მაგრამ შემოწმებამ გამოავლინა, რომ ამ დადგენილებით დასახული მთელი რიგი ღონისძიებების შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, „საქსოფლტექნიკამ", მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არ შეასრულეს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ბოლო ორი წლის გეგმები. რის შედეგადაც არ იქნა თავისებული სახელმწიფოს მიერ ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხები.

1967 წლის მინდორსაცავი ტყის ზოლები გეგმით უნდა გაშენებულიყო 1.640 ჰექტარზე, ფაქტიურად გაშენდა 1.130 ჰექტარზე. გაშენების დაგალება არ შესრულდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

როგორ შესრულდა ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები გასულ წელს?

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას ძირითადად აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც გეგმა მხოლოდ 53 პროცენტით შეასრულა; აქედან კოლმეურნეობებში — 65 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებში — 36 პროცენტით. ამ დაგალების შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ „გიპროზემმა" საპროექტო სამუშაოები მთელი მოცულობით ვერ შეასრულა.

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა არ შესრულდა დანინის, სიღნაღის, მარნეულის, გარეჯის და ზოგიერთ სხვა რაიონებშიც.

ციცაბო ფერდობების დატერასების სამუშაოების შესრულება ვალუმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", რომელმაც გეგმა მხოლოდ 53 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 500 ჰექტარისა დატერასა 263 ჰექტარი. აქვე უნდა ითქვას, რომ საპროექტო სამუშაოები „გიპროზემის" მიერ 112 პროცენტით იყო შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული მოცულობიდან ჩხორწყუს, გეგეჭკორის, ბოთურის და საჩხერის რაიონებში არც ერთი ჰექტარი სამუშაო არ შესრულებულა, ხოლო გაგრის და ზუგდიდის რაიონებში ეს სამუშაო 10-12 პროცენტით შესრულდა.

ხევების, ღელეებისა და სხვა უმარჯვ მიწების გამაგრებისა და გატყეევების სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 83 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებში — 68 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული ეს სამუშაო არც ერთ ჰექტარზე არ შესრულებულა თიანეთის და თეთრი წყაროს რაიონებში, ხოლო სანახევროდ შესრულებულ ზამორის, თელავის, გორის რაიონებში, ხოლო სანახევროდ შესრულებულ ზამორის, თელავის, გორის რაიონებმა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში პროექტების უქონლობას ხელი არ შეუშლია სამშენაოთა შესრულებისათვის.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც 1968 წელს უნდა შეესრულებინა 2.864 ათასი მანეთის მოცულობის სამუშაო, შესრულებულია 2.050 ათასი მანეთისა, რაც გეგმის 71,3 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობებში ეს სამუშაო შესრულებულია მხოლოდ 50 პროცენტით. ამ მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებელია საგარეჯოს რაიონში, ხოლო ახალციხის, ახალქალაქის, ახმეტის და წყალტუბოს რაიონებში გეგმა შესრულებულია 10—46 პროცენტით.

რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში უხვად ირღვევა ტყეების ექსპლოატაციის არსებული წესები, სათანადო ყურადღება არ ექცევა ტყეების დაცვას, არ წარმოებს ტყის აღდგენისა და ჩამორეცხილი ფერდობების გატყეევების სამუშაოები. ეს გარემოება კი დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. მარტო 1967 წელს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ონის, საჩხერის, ვანის და ზოგიერთი სხვა რაიონების საკოლმეურნეო ტყეებში თვითნებურად მოიჭრა 12 ათას კუბმეტრი მოცულობის ტყე. არის ფაქტები, როდესაც ოჩამჩირის, გეგეჭკორის, მახარაძის და დმანისის რაიონების საკოლმეურნეო ტყეებში ჭრას აწარმოებენ ისეთ ადგილებში, სადაც ტყეს აქვს ნიადაგის დაცვის და წყალდამცველი მნიშვნელობა.

ზოგიერთი ნაკლოვანებები იქნა გამოვლინებული აგრეთვე იმ სახელმწიფო ტყეების დაცვის საქმეშიც, რომლებსაც ნიადაგის დაცვის და წყალდამცველი მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის დადგენილების ერთ-ერთ მუხლში ჩაწერილია, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ღია წესით იღებენ სასარგებლო წიაღისეულს სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულებში და ეს ფართობები ღრმებით სარგებლობისათვის აქვთ გადაცემული, სამუშაოთა დამთავრების შემდეგ თავიანთივე ხარჯით მიწის ნაკვეთების აღდგენა უნდა უზრუნველყონ ისე, რომ ისინი გამოსადეგი იყოს სოფლის მეურნეობაში ან ტყეების გასაშენებლად. სამწუხაროდ, დადგენილებას ხშირად არ ასრულებენ საქართველოს სსრ მშენებლობის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად არადამაკმაყოფილებლად სრულდება გეგმით გათვალისწინებული ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელი ღონისძიებანი. სწორედ ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ახლახან განიხილა საკითხი პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი 1969 წელს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების შემდინარე წლის გეგმით რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას ქარსაფარი ტყის, ზოლები 5,7 ათას ჰექტარზე, ციცაბო ფერდობები უნდა დატერასდეს — 1,1 ათას ჰექტარზე, გატყეევდეს ხევები, ღელეები და სხვა უმარჯვი მიწები 3,4 ათას ჰექტარზე და აშენდეს ეროზიის და ღვარცოფების საწინააღმდეგო პიდროტექნიკური ნაგებობები 5,5 მილიონი მანეთის მოცულობით. სულ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსაორგანიზებლად 1969 წელს უნდა დაიხარჯოს 12,9 მილიონი მანეთი.

ნიადაგების ეროზიისაგან დაცვა საშვილიშვილო, სახელმწიფოებრივი საქმეა და ამ საქმეში ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ამაზე გამახვილებულია ყურადღება კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტში და მისი მიღების შემდეგ იგი სავალდებულო იქნება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები გულდასმით შეისწავლიან გასული წლის ჩამორჩენის მიზეზებს, საქმიანად იმსჯელებენ პროექტის განხილვის დროს და დასახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს 1969 წელს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების აუცილებლად შესრულებისათვის.

ი. რთველიაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სადგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ახალი სამრეწველო სიმძლავრეები მოქმედებაში

20 მილიონი მეტრი ფლიუერად

ამუშავდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის საგამომყვანო ფაბრიკა

მაისის დღესასწაულის წინა დღეებში მწყობრში ჩადგა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის საგამომყვანო ფაბრიკის პირველი რიგი.

გამოშვებულია ქუთაისური აბრეშუმის მზა ქსოვილების პირველი პარტია. ამიერიდან ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში სრული ტექნოლოგიური ციკლი ხორციელდება — აბრეშუმის პარკის გადამუშავებიდან მოყოლებული მზა ქსოვილების გამოშვებამდე ყველა ტექნოლოგიური პროცესი აქვე სრულდება.

მომავალში ქუთაისის აბრეშუმკომბინატი აქ დამზადებული ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის ხამ ქსოვილებს გამოსაყვანად აღარ გადაუგზავნის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საგამომყვანო ფაბრიკებს. პირიქით, გარდა საკუთარი წარმოებისა აქვე შეიტანენ და გამოიყენენ სხვა საწარმოებიდან მიღებულ ხამ ქსოვილებსაც.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საგამომყვანო ფაბრიკა უდიდესია მთელ ამიერკავკასიაში. სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ფაბრიკა წლიურად გამოუშვებს 20 მილიონ მეტრზე მეტ ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის, აგრეთვე ხაოიან ქსოვილებს. აქვე გამოუშვებენ პლუშისა და ხელოვნური ბეწვის ძვირფას ქსოვილებს.

ფაბრიკის პირველი რიგის კომპლექსი მარტო მიმდინარე წლის ბოლომდე 7 მილიონ მეტრ მზა ქსოვილს გამოუშვებს. მომავალი წლიდან, მეორე რიგის ამუშავების შემდეგ, ფაბრიკა მეტად რთული ასორტიმენტის ნატურალური აბრეშუმის, 14 არტიკულის ქსოვილს დამზადებს.

საგამომყვანო ფაბრიკის 3-სართულიანი კორპუსის საწარმოო ფართობი 20 ათასი კვადრატული მეტრია. ფაბრიკასთან ერთად აშენდა მთელი რიგი საინჟინრო და დამხმარე ნაგებობანი. აიგო ახალი დიდი საკვებე საამქრო, რომელიც საათში 80 ტონა ორთქლს გამოუშვებს და საგზაურთან დაკავშირებულს როგორც ფაბრიკას, ისე კომბინატის ყველა დანარჩენ საწარმოსა და ფეიერთა საცხოვრებელ დაბას.

ფაბრიკა მთლიანად დაკომპლექტებულია უახლესი სამამულო და საზღვარგარეთელი მოწყობილობით: მძლავრი სარეცხი აგრეგატით, საგამომყვანო ხაზითა და სამღებრო-მექანიკური დანადგარებით, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიური ავტომატური საშრობებით, ფრანგული ფოტოფილაჟური ნიმთავი მანქანებით, შეიღებავიანი მაბლონების დასამზადებელი კომპლექტით, იაპონური წარმოების ხაოიანი ქსოვილებისა და ხელოვნური ბეწვის გამოსაყვანი უწყვეტი ჯაჭვური ხაზით.

ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში, წარმოების ტექნიკის ათვისებასა და კვალიფიციურ კადრების მომზადებაში ქუთაისელ ფეიერების ძმური და უანგარო დახმარება გაუწიეს ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მშრომელებმა. ფაბრიკის მშენებლობა დაპროექტა ქ. კიევის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტმა. სამონტაჟო და გასამართავ სამუშაოებს ასრულებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქ. კრასნოდარის გამშვებ-გამმართველი სამმართველო, კადრების სწავლებითა და გამოცდილების გაზიარებით ქუთაისელებს ეხმარებოდნენ და კვლავაც ეხმარებიან მოსკოვის, ორგის, კაუნასის, დარნიცის, ერევნის, ვიტებსკის აბრეშუმის კომბინატების, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივები.

საგამომყვანო ფაბრიკის დროულად ამუშავება მიიწეწელ იქნა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მშენებლობის სამინისტროების უშუალო, ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

ფაბრიკის საექსპლოატაციოდ მომზადებისათვის შეწყობილი მუშაობის კარგი მაგალითები უჩვენეს ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის (მმართველი ო. ბიბილეიშვილი), მე-3 სამმართველოს (უფროსი ნ. ჩაგიევი, წამყვანი სამუშაოთა მწარმოებელი გ. ცირკიძე), მშენებლებმა, გამშვებ-გამმართველი სამმართველოს ქუთაისის უბნის (უფროსი გ. ყუბანეიშვილი, წამყვანი ინჟინერ-ელექტრიკოსი ვ. დუდჩენკო), „სამშენებლომონტაჟის" ქუთაისის უბნის (უფროსი კ. კობერიძე), „სამელექტრომონტაჟის" ქუთაისის სამმართველოს (უფროსი ი. გაგუა), „საქსანტექმონტაჟის" სამმართველოს (უფროსი ვ. ტატუნაშვილი), მექანიზაციის სამმართველოსა და „პრომშენტილაციის" უბნის (უფროსები ნ. ჯიქია და ო. მეტრეველი) გამმართველ-მემონტაჟეებმა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის (დირექტორი რ. ბალანაბოძე, მთავარი ინჟინერი მ. თენგიზეშვილი, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ნ. გრიგორაშვილი) დირექციამ.

ახალი საწარმოს ოქროს ფონდია მისი შესანიშნავი ადამიანები — წარმოების უფროსი ს. ბორუშევი, ფაბრიკის უფროსის მოადგილე ი. ქათამაძე, სამეცნიო საამქროს უფროსი ხ. ზაქარეიშვილი, ცვლის უფროსები — ახალგაზრდა ინჟინერები ვ. ტორონჯაძე, მ. ნანჩეგაძე, მღებავები გრ. გველესიანი, ჯ. ენდელაძე, სამრობი აგრეგატის მემანქანეები აკ. ჩხეტიანი, გ. მაღლაფერიძე და სხვები.

ფაბრიკა ფრთებს შლის. მალე ქუთაისელ ფეიერთა ნახელავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეხვდებით.

შ. ჯავახიძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ახლადამუშავებული საგამომყვანო ფაბრიკის სამღებრო საამქროს ხედი.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

წერილები რედაქციას

პიონერებმა შექმნეს ლენინის მუზეუმი

ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ლამაზად გაფორმებული მუზეუმი, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში (დირექტორი ვ. ლაშხი).

მუზეუმს, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა, დათმობილი აქვს ფართო ნათელი ოთახი.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ლსაზრდელებმა შეისწავლეს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია და ახლა ექსკურსიამძღოლობას უწევენ მუზეუმში დათვალიერებაზე მოსულ ბავშვებს.

ლენინის მუზეუმის რვა განყოფილებაში წარმოდგენილია მასალები — ლენინის ბავშვობა და ყრმობა; ვ. ი. ლენინის რევოლიუციური მოღვაწეობის დასაწყისი; ლენინი და ოქტომბრის დღეები; ლენინის ოთახი და კაბინეტი კრემლში; სტენდები, სადაც ასახულია ვ. ი. ლენინის მეგობრობა ბავშვებთან, საჩხერის რაიონში არსებული ვ. ი. ლენინის სახელობის ყველა ობიექტი და ძეგლი. მუზეუმის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ვ. ი. ლენინის ნაშრომები, მოგონებანი ლენინზე.

მუზეუმს ემსახურებიან პიონერთა აქტივისა და ინტერნაციონალური მეგობრობის წრის წევრები. ჩსინი მორიგეობით ატარებენ საუბრებს დამთვალიერებლებთან.

პიონერებს განზრახული აქვთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის კიდევ უფრო გამდიდრონ მუზეუმი ბელადისადმი მიძღვნილი ექსპონატებით. პიონერთა აქტივი ინტერნაციონალური მეგობრობის წრის წევრებთან ერთად აწყობს „დაუსწრებელ მოგზაურობას" ლენინურ ადგილებში; მიწერ-მოწერა აქვს მოგზაურ რესპუბლიკების პიონერებთან.

ა. ანასაშვილი.

ზეპირი ქურნალი ბელადზე

ოჩამჩირე. რაიონული ბიბლიოთეკის ინიციატივით სოფელ ბესლახუნის მახარძეს სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო ზეპირი ჟურნალი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ეს ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული და მას ბევრი მსმენელი ჰყავდა კულტურის სახლში.

დამსწრეებმა მოისმინეს ოქტომბრის ბელადის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ჩაწერილია ფირზე.

შემდეგ გაიმართა საინტერესო საუბრები: „ბესლახუნელები ლენინურად შრომობენ", „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი მუსიკაში", „ვ. ი. ლენინის სახე აფხაზურ პოეზიაში".

აქვე ვიქტორინაში გამარჯვებულთ საჩუქრად გადაეცათ ბელადის წიგნები.

ვ. ჭოგუა.

მშოგელთა უნივერსიტეტი

ჰავანაში არსებობს მშობელთა უნივერსიტეტი, რომელიც საყოფიერად მუშაობს მშობელთა შორის აგიტაციისა და ფიზიკური ცოდნის გავრცელებისათვის.

მორიგი მეცადინეობა მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. საზოგადოება „ცოდნის" ლექტორმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. კილაძემ წაიკითხა ლექციები თემაზე — „მშობლიური სიყვარულისა და თავისუფლების იდეა ვ. ი. ლენინის მოძღვრების მიხედვით".

ჯ. ასანიძე,

განათლების განყოფილების ინსპექტორი, მშობელთა უნივერსიტეტის რედაქტორი.

□ **ფოთელწყაროს.** ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული სემინარი, რომელიც მოეწყო რაიონულ გაზეთ „ახალი შრომის" რედაქციის მუშაკებთან და მუშსოფლკორებთან ერთად, მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას.

მოხსენებით — „ვ. ი. ლენინი პრესის შესახებ" — გამოვიდა საქართველოს კპ ფოთელწყაროს რაიკომის მდივანი დ. ბატალაშვილი. საკითხებზე: „გაზეთის თემა", „პრესა — პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო იარაღი", „გაზეთი — მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა" — დამსწრეთ ესაუბრნენ გაზეთ „კომუნისტის" და რაიონულ გაზეთ „ახალი შრომის" მუშაკები. აქვე მოეწყო ძირეული პრესის საუკეთესო ნომრების გამოფენა და მათი გარჩევა.

მოწინავე კოლმეურნეთა გაზეთის რედაქტორებსა და რაიონული გაზეთის კორესპონდენტებს გადაეცათ გაზეთ „ახალი შრომის" სამახსოვრო საჩუქრები.

ვ. კახელიშვილი.

□ **გორი.** ამ დღეებში მშვიდობის ქუჩაზე გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი საქალაქო ბიბლიოთეკა. გახსნის დღეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ მოაწყო საღამო თემაზე — „ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ".

საღამო შესავალი სტატიით გახსნა გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ილარიონოვმა. საღამოზე წაიკითხეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მოხსენებები და ლექსები.

რ. ნინოშვილი.

□ **ცხინვალი.** საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს ნოსირის კულტურის სახლი. იმართება ლექცია-მოხსენებები ლენინურ თემებზე, მხატვრული საღამოები. ამას წინათ შხეფის კლუბში მაყურებლებს გააცნეს ზეპირი ჟურნალი „ლენინური იდეები გვიანთებენ გზას კომუნიზმისაკენ". ვ. მაიაკოვსკის პოემიდან „ვლადიმერ ლენინი". ადგილები წაიკითხეს ჩაის ფაბრიკის მუშამ ზ. ფაჩულიამ, მოსწავლეებმა რ. ქამადაძემ და ლ. კვირკველიამ.

მენჯის და ძველი სენაკის კულტსახლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ზაფხულის პერიოდისათვის.

ბ. გულუა.

□ **ამბროლაური.** ხიდიკრის კოლმეურნეობის ახალგაზრდები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ცნობილ მეკვანახე ქალს ქ. კერვალიშვილს. საუბრის თემა იყო — „ჩვენი სოფელი წინათ და დღეს".

კულტურის სახლში ხშირად ეწყობა საუბრები, მოხსენებები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე.

კ. რაბეველიშვილი.

საბჭოთა ახალგაზრდობა

ერთიანობისა და მეგობრობის ნიშნით

ულან-ბატორი, 20 მაისი. (საკ-დესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დღეს სადილი გამართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად. სადილზე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და ნ. ვ. პოდგორნინმ სიტყვები წარმოთქვეს.

მონღოლი ხალხი, თქვა ი. ცედენბალმა, გულწრფელი სიხარულით ეგებება დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს. ნამდვილად ძმური ურთიერთობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას და სსრ კავშირს შორის, რომლებსაც აერთიანებთ საერთო ინტერესები და მიზნები, განმტკიცდა მეგობრობისა და კავშირის ახალი კოდექსით — მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1966 წლის 15 იანვარს.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი, თქვა შემდეგ ი. ცედენბალმა, უღრმესი მადლობის გრძნობით დიდად აფასებენ იმ მრავალმხრივ უანგარო დახმარებას, რომელსაც საბჭოეთის დიდი ქვეყნის ხალხები გვიწევდნენ მონღოლეთის რევოლუციური განახლების მთელი პერიოდის მანძილზე.

დღევანდელ პირობებში, განაგრძო ი. ცედენბალმა, თვითეული კომუნისტური პარტიის, თვითეული სოციალისტური ქვეყნის წინდათა-წინდა მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ მეგობრობა და ერთიანობა ლენინის პარტიასთან და ოქტომბრის სამშობლოსთან, შემდგომ განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, განაცხადა ი. ცედენბალმა, რომ დიდი ლენინის ანდერძისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაღლა ატარებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, ყოველ ღონეს ხმარობს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა განმტკიცებისათვის, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების მხარდაჭერისათვის.

საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას შორის დამყარდა და სულ უფრო მტკიცდება თანამშრომლობა, ურთიერთნდობა და გაგება, თქვა საპასუხო სიტყვაში ნ. ვ. პოდგორნინმ. საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობა მტკიცე და ურყევია, იგი მრავალგზის დადასტურდა პრაქტიკული საქმეებით.

მომქმე მონღოლეთთან თანამშრომლობის საკითხები ყოველთვის არის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. ჩვენი მხრივ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ნაყოფიერად ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის დარგში, რათა ეს ურთიერთობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხების საერთო კეთილდღეობისათვის.

ახლანდელ პირობებში, აღნიშნა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნინმ, როცა იმპერიალიზმი გრძნობს, რომ მისი სისტემა ისტორიულად განწირულია, და სულ უფრო გაფთრებით ახორციელებს ავანტიურებისა და პროვოკაციების პოლიტიკას, აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას, ვინსაკუთრებით სპეციალური ყურადღებაა მიქცეული ჩვენი ვიზიტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელიც დღეს დაიწყო. ჩაივლის საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის სახელოვანი ტრადიციების განვითარების, სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცების ნიშნით.

ულან-ბატორი, 21 მაისი. საკ-დესის სპეციალური კორესპონდენტები მ. იაკოვლევი და ჩ. ნამუილოვი იტყობინებიან: დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ესაუბრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. სამბაუს, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ცედენბალს.

საუბრის დროს, რომელიც გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აგრეთვე სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ყველა განხილულ საკითხზე დადასტურდა მხარეების შეხედულებათა და შეფასებათა სრული ერთობა.

ნ. ვ. პოდგორნი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

სტუმრად საბჭოთა კავშირში

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მეცნიერული კვლევის საქმეთა, ატომურ და კოსმოსურ საკითხთა მინისტრი რობერ გალე 20 მაისს ეწვია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, სადაც დათვალიერა პავილიონები „კოსმოსი“ და „ატომური ენერგია“.

სტუმარი იყო კოსმოსური კავშირგაბმულობის პუნქტში, საიდანაც ეწყობა სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის გადაცემები „მოლნია-1“ თანამგზავრის საშუალებით „ორბიტის“ ქსელის მიმღებ სადგურებში. პუნქტის მუშაკებთან საუბრის დროს აღინიშნა კოსმოსური კავშირგაბმულობის დარგში საბჭოთა და ფრანგი მეცნიერების თანამშრომლობის ნაყოფიერი შედეგები.

იმავე დღეს რ. გალე ერევანში გაფრინდა. საფრანგეთის მინისტრი ეწვევა აგრეთვე თბილისს. მოგზაურობის დროს მას ახლავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტთა, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ბოიკოვი. (საკ-დესი).

საფრანგეთი არჩევნების წინ

პარიზი, 21 მაისი. (საკ-დესი). საფრანგეთში გაჩაღებულია საარჩევნო კამპანია. პრეზიდენტობის შვიდივე კანდიდატი უკვე ორჯერ გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით.

მმართველი ორპარტიული კოალიციის კანდიდატი ჟორჟ პომპიდუ განაგრძობს მოგზაურობას. იგი იყო ორლეან-ტურ-ამიენ-რუანის რაიონში, სადაც საარჩევნო მიტინგებზე ავითარებდა „ეგზარტოფული უმრავლესობისა“ და „პარლამენტთან განუწყვეტელი დიალოგის“ თეზას. ორლეანში ჟორჟ პომპიდუმ განაცხადა, რომ საფრანგეთმა უნდა შეინარჩუნოს თავისი სამგზავრო პოლიტიკის ფირითადი [illegible] „ცენტრისტთა“ კანდიდატი ალენ პიერი ამომრჩევლებს რადიოთი და ტელევიზიით მიმართავს როგორც ფრანგთა „კავშირისა და შერიგების კანდიდატი“. მან განაცხადა, რომ ხვალინდელი დღის საფრანგეთი უნდა დარჩეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის მოცემული.

საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატი ჟაკ დიუკლო შეხვდა მშრომელ წარსულს. დოკერების წინაშე გამოსვლისას, მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა საფრანგეთის მშრომელთა მუშათა კლასის რიგების შეკავშირება და მოქმედების ერთიანობა.

საფრანგეთში კვლავ ფართოვდება მოძრაობა ჟაკ დიუკლოს კანდიდატურის მხარდასაჭერად. 1930-ზე მეტმა კაცმა — პარლამენტის დეპუტატებმა, გენერალურმა და მუნიციპალურმა მრჩევლებმა, აგრეთვე პარიზის რაიონის მერებმა მოუწოდეს მშრომელებს მისცენ დიუკლოს თავიანთი ხმები. „ჩვენ ხმას მივცემთ ჟაკ დიუკლოს“, — განაცხადა კულტურის 3.000 მოღვაწემ.

სენატორ კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 21 მაისი. (საკ-დესი). სენატორმა ედვარდ კენედიმ მკაცრად გააკრიტიკა ნიქსონის მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

გუშინ სენატში გამოსვლისას მან ბრალი დასდო რესპუბლიკურ ადმინისტრაციას, რომ მიუხედავად ყოველგვარი მოლოდინისა, იგი იმავე „იმედის გამაცრუებელ“ კურსს ადგას, რომელსაც ჯონსონის წინანდელი მთავრობა ახორციელებდა.

სენატორმა „უაზრო და უპასუხისმგებლო“ უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელ საომარ ოპერაციებს. სენატორმა მოუწოდა ნიქსონის მთავრობას აიღოს საბრძოლო ვეტერანმინი საომარი მოქმედების დეესკალაციის კურსი.

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“!



Das ist das Waffenarsenal von Charles Whitman, der vom Turm der Universität von Austin Texas aus zwölf Menschen erschoß und 31 verwundete, bis er selbst von Polizisten getroffen wurde (oben). Er trug die Scharfschützenmedaille der amerikanischen Kriegsmarine.

მართალია, ერთ წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ჩარლზ უოტმენმა ხაშინელი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მის თაობაზე ამერიკაში ახლაც ლაპარაკობენ.

ახალგაზრდა, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი ჩარლზ უოტმენი, რომელიც ერთ დროს ამერიკის საზღვაო ძალების ქვეთი ჯარისკაცად მსახურობდა, ოსტინის უნივერსიტეტის კოშკზე ავიდა და იქიდან ტყვიით განგმირა თორმეტი და დაჭრა 31 გამვლელი. უოტმენი მანამდე ისროდა, სანამ თვითონ არ მოკლეს პოლიციელებმა. ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ამ მკვლელის დღიურები.

დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე უოტმენი საკმაოდ გულახდილად წერს: „სროლა, ეს არის სპორტი ნამდვილი მამაკაცისათვის. მე კაცად ვგრძნობ თავს, როცა ჩემი ოპტიკური სამიზნის ჭრილში ცოცხალ სამიზნეს ვხედავ“.

წიგნის რედაქტორებმა ფოტოსურათებიც უხვად დაბეჭდეს. მოკლული ბოროტმოქმედის გვამის გვერდით დაბეჭდილია „უოტმენის სასროლო არსენალი, რომელიც თვითეულ ამერიკელ ჯაბუკს შეშურდებოდა“. როგორც ჩანს, არც თუ ცოტა „ამერიკელი ჯაბუკი“ შენიტრის „სასროლო სპორტის მოყვარულს“. შემთხვევითი როდია, რომ დანაშაულობათა რიცხვი ამერიკაში კატასტროფულად იზრდება. მარტო ქალაქ ვაშინგტონში ამ უკანასკნელ წელს მოკლეს 209 კაცი. როგორც ჩანს, ცოცხალ სამიზნეებზე სროლა ცხოვრების ამერიკული წესის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

ფოტო „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტე“ — ასალი ამბების საგენტოსი.

სოლიდაროობა ბერძენ ხალხს

თავისუფლება პატრიოტებს!

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი სახბერძნეთში პატრიოტთა და დემოკრატთა ახალი მასობრივი დევნის წინააღმდეგ.

მიტინგის გახსნისას საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ალექსეევმ თქვა:

— სამხედრო ხუნტამ ქვეყანა უკანონობისა და თვითნებობის მორეკვში ჩაძირა. დღეს კი „შავმა პოლკოვნიკებმა“ კიდევ უფრო გაძლიერეს რეპრესიები პატრიოტთა წინააღმდეგ.

ტრიბუნაზეა ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფიცხალავა. მან თქვა:

— ბერძენი ხალხის ტრაგედია კიდევ ერთხელ მოაგონებს მსოფლიოს ნეოფაშიზმის საფრთხეს, რომლის აღორძინებასაც იმპერიალისტები უწყობენ ხელს. ძველთაძველ ელადაში ჯერ კიდევ არ არის დახაო და ოსვენცემი, მაგრამ ფაშიზმის ბარბაროსული მანქანა უკვე ამუშავდა. საბერძნეთში მოქმედებენ საკონცენტრაციო ბანაკები, უამრავი სასატრამები.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგინ მონაწილეებმა მოითხოვეს ბერძენი ხალხის კონსტიტუციური უფლებების აღდგენა, ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

თბილისის ფაბრიკა „კომკავშრომელში“ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სამხედრო დიქტატურის ხელისუფლების წინააღმდეგ ბერძენი ხალხის გმირულ ბრძოლას.

—უკვე ორი წელია, რაც ბერძენი ხალხი მძიმე და სასტიკ პირობებში ცხოვრობს. სამხედრო ხუნტა უკანონობას სჩადის, — თქვა პარტიული ბიუროს მდივანმა **რ. მარტიროსიანმა.** საბერძნეთი გადაქცეულია უზარმაზარ საპატიმროდ, საკონცენტრაციო ბანაკად.

— ოსტატის თანაშემწემ **რ. დონინაშვილმა** დაგმო საბერძნეთში მოფაშისტე ელემენტების მოქმედება და რწმენა გამოთქვა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებენ ბერძენ დემოკრატთა დევნის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებენ მათ. (საკ-დესი).

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 21 მაისი. (საკ-დესი). ბუშინ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბ. კუსკის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საააგენტო ეუწყება, სხდომაზე განიხილეს ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმისათვის მზადების საკითხები.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს ურთიერთობის ნორმალიზაცია საბჭოთა კავშირთან კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში. მან აღნიშნა, რომ ამ დარგებში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის წარმატებით განვითარებისათვის წანამძღვრები ნელა იქმნება. პრეზიდიუმმა გამოთქვა უკმაყოფილება ისეთი მდგომარეობის გამო, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ და ინტერნაციონალურ ინტერესებს და კულტურულ ტრადიციებს. სხდომაზე მხარი დაუჭირეს იმათ ღონისძიებებს, ვინც ესწრაფვის ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობის აღდგენას. პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ დარგში.

იმსჯელა რა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პრობლემებზე, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა მოძრაობაში ამჟამად რთული მდგომარეობაა, რომ ამ მოძრაობაში არის შეხედულებათა დიდი წინააღმდეგობა თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისა და კომუნისტური პარტიისა და ეროვნული ფრონტის ხაზის, შესახებ. კონსოლიდაციის ღონისძიებათა შედეგად სტუდენტთა მოძრაობაში ხდება შესეფულებათა მნიშვნელოვანი დიფერენცია, თანდათან იზოლირებული ხდებიან ისინი, ვინც ცდილობს სტუდენტები გამოიყენოს თავისი მიზნებისათვის.

პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პარტიული ორგანო და ორგანიზაცია მოვალეა დაეხმაროს სტუდენტთა მოძრაობას, აღმოფხვრას უსარგებლო და მიზანშეუწონელი რადიკალიზმის ნამეები, კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღოს საუთარი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში.

სხდომაზე განიხილეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ პოსტებზე მომუშავე კომუნისტთა საქმიანობა. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ შესუსტდა მათი აქტივობა პარტიული გადაწყვეტილებების დაცვასა და რეალიზაციაში და ხაზი გაუსვა კომუნისტთა მოვალეობას, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდნენ ისინი, იბრძოლონ პარტიულ გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული შესრულებისათვის. ამ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

დასასრულ პრეზიდიუმმა განიხილა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის მომავალ სხდომასთან დაკავშირებული საკითხები.

მახოლოდ ფაქტები

● პარიზი, 21 მაისი. (საკ-დესი). 400.000 ფრანკი შეაგროვეს ფრანგმა მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ფონდში ამ რამდენიმე უკანასკნელი დღის მანძილზე. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ფიგროვილი თანხა მოხმარდება პრეზიდენტის მომავალი არჩევნების მოსამზადებელ კამპანიის მოწყობას საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატის ჟაკ დიუკლოს მხარდასაჭერად.

● ჰანოი, 21 მაისი. (საკ-დესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალების მეგბრძოლები კვლავ უტევენ მოწინააღმდეგეებს. ვიეტნამის საინფორმაციო საააგენტო „განთავისუფლებას“ ეუწყება, რომ 17 მაისს დილით განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ამერიკელ პოზიციებზე სამ კილომეტრზე პლეიკუდან, გაანადგურეს 50-მდე დამსჯელი, 8 ტანკი და რამდენიმე ჯავშნისანი მანქანა.

● ნიუ-იორკი, 21 მაისი. ბანგი ჰაბუკის მკვლელობამ, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატის ნიუარკის პოლიციელებმა ჩაიდინეს, გეტოს მცხოვრებთა მოთმინების ფიალა აავსო. ასობით ბანგი მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში.

ბანგებისა და პოლიციელების შეტაკება 9 საათს გრძელდებოდა. საინფორმაციო საააგენტოთა ცნობებით, დაჭრილია 10 და დაპატიმრებულია დაახლოებით 50 კაცი. ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი.

ჩანაფიქრებენ პარტიის ერთობას

პრაღა, 20 მაისი. (საკ-დესი). ოსტრავასა და ჩესკა-ბუდეიოვიცეში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩრდილოეთ მორავიისა და სამხრეთ ჩეხიის საოლქო კომიტეტების პლენუმები, რომლებმაც განიხილეს პოლიტიკური მდგომარეობა საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში.

გაზეთი „რუდე პრავო“ წერს, რომ ჩრდილოეთ მორავიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა კრიტიკულად განიხილა საოლქო კომიტეტისა და მისი ორგანოების საქმიანობა საანგარიშო-საოლქო კონფერენციის შემდეგ განვლილ პერიოდში, კომუნისტების ერთობის განმტკიცების, ოლქის ყველა პარტიული ორგანოსა და ორგანიზაციის მუშობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპთა თანმიმდევრული განხორციელების საკითხები.

გულახდილი და კრიტიკული დისკუსიის დროს, წერს „რუდე პრავო“, პლენუმმა ამხილა პოლიტიკური შეცდომები და სუსტი ადგილები საოლქო კომიტეტის მუშაობაში. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მომავალში სასიანადო სიფხიზლით მოეკიდონ მებრძოლ ოპორტუნისტულ და სექტანტურ-დოგმატურ საფრთხეს პარტიაში, არ შეურიგდნენ აპარატის ცალკეულ მუშაკთა მემარჯვენე ოპორტუნისტულ პოზიციას.

პლენუმმა მოუწოდა პარტიის წევრებს გააძლიერონ იდეოლოგიური ბრძოლა ანტისოციალისტურ და არამარქსისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ პარტიასა და საზოგადოებაში.

პლენუმმა საოლქო კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ი. კრეიჩი, ო. შულეზი, ო. ნოვაჩკოვა და ი. კოლარეიკი და გადაწყვიტა მოაწყოს პარტიული გაკრიტიკება მათი საქმის გამო. პლენუმმა დაარეკომენდა მთელი რიგი კომუნისტების, მათ შორის ი. ნემეცოვას, ი. ფრანკის თხოვნა გაეთავისუფლებინა ისინი თანამდებობიდან საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობაში. იმის გამო, რომ ლ. ბუბლიკი გაათავისუფლეს გაზეთ „ნოვა სვობოდას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, პლენუმმა იგი გამოიყვანა საოლქო კომიტეტის სამდივნოდან.

ჩრდილოეთ მორავიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დაადგინა გააუქმოს ან გადასინჯოს მთელი რიგი თვისი წინა გადაწყვეტილებანი, რომლებიც იყო „პოლიტიკურად არასწორი“, ან „ეწინააღმდეგებოდა“. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა პლენუმის რეზოლუციასა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა ძირითად დოკუმენტებს.

პლენუმმა, წერს გაზეთი, მოიწონა ცვლილებები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩრდილოეთ მორავიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სამხრეთ ჩეხიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საააგენტო, აღნიშნა ნაკლოვანებანი პოლიტიკურ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში. პლენუმმა გადაწყვიტა, რომ საოლქო კომიტეტმა უნდა გააუმჯობესოს პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, თანმიმდევრულად განახორციელოს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, შეცვალოს მუშაობის სტილი და უფრო ეფექტიანად უხელმძღვანელოს პარტიის რაიონულ კომიტეტებს.

პლენუმმა დაადგინა ივან ფუბას თხოვნა გაეთავისუფლებინა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სამხრეთ ჩეხიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და სამდივნოს წევრის მოვალეობისაგან.

საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს იაროსლავ გეინა.

პლენუმმა სამხრეთ ჩეხიის გამო „პრავდის“ მთავარი რედაქტორის პოსტიდან გაათავისუფლა იაროსლავ შესტაკი, რომელმაც თავი ვერ გაართვა გაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

ბრაზილიაში ტერორისტული აქტი

ბრაზილია, 21 მაისი. (საკ-დესი). ბრაზილიაში ტერორისტული აქტის შედეგად ერთ-ერთ ბანკში ბომბი ფეთქდა. ბომბის ფეთქებამ ბანკის ნაგებობა ნაწილობრივ ანგრია. ბომბის ფეთქებამ ადგილზე ექვსი ადამიანი ადგილზე ადგილზე [illegible] ადგილზე [illegible] ადგილზე [illegible]

საქართველოს მთა და ბარში

გაიხსნა, აშენდა

საქვაბეროგის ზუგდიდის კანყოფილებამ ოქტომბრის ქუჩაზე გახსნა ახალი სამსართულიანი უნივერსალური მაღაზია „ენგური“. ახალ უნივერმაღს აქვს ტანსაცმლის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, კოლტსაქონლის, სამეურნეო, ელექტრო და სხვა საქონლის სექციები.

უნივერმაღი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით.

ბ. ალშიბაია.

ქობულეთში **რუსთაველის ქუჩის დიდი მონაკვეთი — საკოლმეურნეო ბაზრიდან მარქსის საველობის კოლმეურნეობის კანტორამდე** — თანამედროვე სტილს ლამპიონებით გაჩირაღდნდა, რამაც კიდევ უფრო გალამაზა კურორტ-ქალაქის ეს მაგისტრალური ქუჩა. მზად არის და ლამპიონები ახლო ხანში ჩაირთვება აგრეთვე რუსთაველის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე — რკინიგზის სადგურის მოედნიდან საკოლმეურნეო ბაზრამდე.

ა. გოგიტიძე.

ბათუმის რაიონის სოფელ ერგეში გაიხსნა ადგილობრივი რადიოკვანძი. უკვე რადიოგადაცემას ისმენს 180 ოჯახი, ახლო ხანში კი მთელი სოფელი რადიოფიცირებული იქნება.

რ. ლომაძე.

ცხაკაია. საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმროს ახალი, 4-სართულიანი შენობა. სასტუმროს აქვს 54 ნომერი, ჯ�ნომერი რადიოფიცირებულია და აქვს ტელეფონი.

სასტუმროს პირველ სართულზე მოწყობილია ტელეფონის ავტომატური სადგური 100 ნომრით, ქალთა და მამაკაცთა კეთილმოწყობილი საპარიკმახეროები, მექანიზებული სამრეცხაო, სამკერვალო და გასაუთოებელი საამქროები, ბუფეტი.

ამას წინათ ცხაკაიელმა ნორჩებმა მიიღეს 280-ადგილიანი ბაგა-ბაღის ორსართულიანი შენობა, ხოლო რუსთაველის ქუჩაზე გაიხსნა საჩუქრების მაღაზია.

ს. კუჭავა.

ხაშური. ხურამის მინის ტარის ქარხნის მუშების ბავშვებმა ამ დღეებში მიიღეს კარგი საჩუქარი — გაიხსნა ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი 60 ბავშვისათვის.

დ. ფარემუზოვი.

ახალციხე. სოფელ სხვილისში ამ დღეებში დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 50-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური.

შ. მესხი.

ამბროლაურში ახალ სანაპირო ქუჩაზე დამთავრდა 18-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ახლახან მობინადრეებმა სიხარულით აღნიშნეს ახალმოსახლეობა.

ა. კერესელიძე.

ექიმთა ბრიგადა სოფლად

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი ღონისძიება განახორციელეს ჭიათურელმა ექიმებმა. ამ დღეებში წირქვალის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს ესტუმრა ექიმთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ ჭიათურის საქალაქო საბჭოს დეპუტატები — ქალაქის მთავარი ექიმი ლ. ენუქიძე, თერაპევტი ნ. მოდებაძე, პედიატრი ლ. ჩაჩანიძე, აგრეთვე მთავარი ექიმის მოადგილე, ნეროპათოლოგი ბ. მიხელაძე, ქალაქის პედიატრი ვ. მასხარაძე, გინეკოლოგი ლ. დეკდარიანი.

ექიმთა ბრიგადამ სამედიცინო დახმარება გაუწია 171 მშრომელს, გამართა საუბრები მედიცინის საინტერესო საკითხებზე.

ძმოგა, სოლიდაროგა!

თელავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეიქმნა კიდევ ერთი რაიონული ორგანიზაცია — თელავისა.

ახლად შექმნილი განყოფილების დამფუძნებელ კრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს წინანდლის ღვინის ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ა. უთიაშვილი, მოადგილეებად — ტრესტ „ალაზანმშენის“ მმართველი მ. ცისკარიშვილი, იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გ. შათირიშვილი. მდივნად არჩეულია პენსიონერი შ. ყარაულაშვილი.

დეკეშა ატლანტის ოკეანიდან

სამშობლოს სასახელოდ

რედაქციაში მივიღეთ საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზსაყინი ტრაულერის „სალხინოს“ კაპიტანის პირველი თანაშემწის გვალიას დეპეშა. იგი გამოგზავნილია ატლანტის ოკეანის თევზის რეწვის ცენტრალური რაიონიდან.

— ვუპატაკებთ სამშობლოს, — ნათქვამია დეპეშაში, — რომ „სალხინოს“ ეკიპაჟმა შორეული ნაოსნობის გამოცდილი კაპიტნის ჯოჯუას მეთაურობით ვადაზე ადრე, 18 მაისს შეასრულა თევზის რეწვის სარეისო დავალება. მოპოვებულია 38.920 ცენტნერი თევზი და შეუდექით სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომელიც მიეძღვნა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს შტურმანმა მიმინოშვილმა, ტრალის უფროსმა ოსტატმა დუდინმა, ოსტატებმა პაპკორიამ და ცხოვრებაშვილმა, გადამუშავების ოსტატებმა აბშილავამ და ხოფერიამ, მატროსებმა ხორგულიანმა, გუმბერიძემ, თორდიამ, ხინგოიანმა, ესიავამ, ბასილაიამ, უფროსმა მექანიკოსმა პრიგინმა, მოტორისტებმა გვარცხავამ, პაპიძემ, მექანიკოსმა ზისკინმა, მეორე მექანიკოსმა საფრონოვმა, ელექტრომექანიკოსმა ჭელიშევმა, უფროსმა ელექტრიკოსმა შელეგიამ, მექანიკოსმა ხუბულავამ, ჰიდროაკუსტიკოსმა დეპელმა.

თევზის ფაბრიკის ხუსტი მუშაობის შედეგად, ტექნოლოგ კუბრეიშვილის მეთაურობით, გამოშვებულია პირველი ხარისხის თევზის ნაწარმი.

„სალხინოს“ ეკიპაჟმა, გაითვალისწინა რა თავისი შესაძლებლობა, გადაწყვიტა რეისის დარწმენილ დროში მოიპოვოს სულ მცირე 7000 ცენტნერი თევზი. იუნისის ბოლოს „სალხინო“ კურსს აიღებს სამშობლოს ნაპირებისაკენ.

მუშობლიური ჰეიზაუეები — **გაზაფხული იყალთოში** ფოტო ბ. შათირიშვილისა.

სიურპრიზი ფინიშთან

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინიშამდე თითებზე ჩამოსათვლელი შეხვედრები დარჩა.

მორიგი მატჩები გაიმართა ტალინსა და ალმა-ატაში. ტალინში რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა რევანში აიღო ტარტუს „კალევთან“ შეხვედრაში 81:75.

თბილისის დინამოელებმა ორი მატჩი გამართეს ალმა-ატაში აუტსაიდერთან — ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. დინამოელებმა პირველი შეხვედრა მოიგეს 71:65 (36:30), მეორე წაგეს — 72:74 (34:34).

ღღეები და ეტაპები

მშვიდობის ველორბოლას ფინიში აქვს. ერთი დღის შესვენების შემდეგ სპორტსმენებმა ერთბამად ორი ეტაპი გაიარეს. პირველი მათგანი (მეცხრე) ყველაზე მოკლე 39 კილომეტრი იყო. გაიმარჯვა პოლონეთის გუნდის წარმომადგენელმა იან მაგერამ, რომელმაც უახლოეს მეტოქეს ფრანგ ჟ. დანგიმს წუთზე მეტით გაუსწრო. გამარჯვებულმა აჩვენა დრო — 50 წუთი და 3 წამი (ბონიფიკაციით). საბჭოთა სპორტსმენებიდან ვ. სავინმა, ვ. ნელიუბინმა და გ. საიდხუნინმა მე-13, მე-15 და მე-19 ადგილები დაიკავეს.

მეათე ეტაპის დისტანცია 100 კილომეტრი იყო. ველომრბოლებმა სტარტი პოლონეთის ქალაქ სვეობოდინში აიღეს, ფინიში კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ აიზენჰაუტენშლადში ჰქონდათ. გაიმარჯვა ფრანგმა მიშელ როკემ. დრო — 2 საათი, 32 წუთი და 46 წამი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში წინ არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველომრბოლები.

სპორტი

სპასკი არ ეთანხმება

მატჩი მსოფლიოს კირველობაზე

მოსკოვი (სპეც. კორ.). გროსმაისტერები ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი მრავალრიცხოვანი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების „იერიშებს ვიდარ იგერიებენ“. თუმცა ისინი მეტისმეტად მოუცლელნი არიან, მაგრამ ზოგიერთი ჟურნალისტი როგორღაც ახერხებს ინტერვიუს აღებას. ვარმავის ვაზეთმა „ურრიბუნა ლიუდუმ“ გამობაჭვეყნა ცნობილი პოლონელი ჟურნალისტის ვ. ლიტმანოვიჩის ინტერვიუ გროსმაისტერ ბ. სპასკისთან. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ ვრცელი საუბრიდან.

თქვენ ორჯერ გაიმარჯვეთ პრეტენდენტთა ასპარეზობაში — 1965 და 1968 წლებში. როდის უფრო გაგიჭირდათ?

პირველი ციკლი (1965 წ.) ესრ კავშირის ჩემპიონატიდან დავიწყე. შემდეგ ზონალურ და საზონთაშორისო ტურნირებში ვითამაშე და პრეტენდენტთა მატჩებში გამოსვლის უფლება მოვიპოვე. მაშინ ვძლიე კერესს, ბალერსა და ტალს. ახლანდელ ციკლში მხოლოდ პრეტენდენტთა მატჩებიდან ჩავები — არც სსრ კავშირის ჩემპიონატში დამპირავება გამოსვლა და არც საზონთაშორისო ტურნირში. ამის მიუხედავად უნდა გითხრათ, რომ ახლანდელი ციკლი უფრო მძიმე იყო.

რას ფიქრობთ მსოფლიოს პირველობის გათამაშების ამჟამად მოქმედ სისტემაზე?

მოკლედ გიპასუხებთ: არასოფის აღარ ვითამაშებ მოკლე მატჩებს.

როგორ გავიგოთ თქვენი განცხადება?

მე მოკლე მატჩებს გუწოდებ ისეთებს, რომლებსაც პრეტენდენტები ახლა თამაშობენ, — 10-12 პარტიისაგან შემდგარ ასპარეზობებს. ამიტომ პირდაპირ გიტყვით — თუ ახლა პეტროსიანთან დავმარცხდები, პრეტენდენტების შემდგომ ასპარეზობაში აღარ მივიღებ მონაწილეობას.

რატომ?

ეს მოკლე მატჩები მეტისმეტად მომქანცავია. მათში ნებისმიერი პარტია შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ეს კი მაქსიმალურ დაძაბულობას მოითხოვს. ამ მოკლე მატჩის დროს მოჭადრაკის არ იცის, რა არის დასვენება. ნერვიული დაძაბულობა წარმოუდგენლად დიდია.

თქვენ აზრით, რა ცვლილებები უნდა მოხდეს პრეტენდენტთა ასპარეზობაში?

უმჯობესია პრეტენდენტთა მატჩები პრეტენდენტთა ტურნირით შეიცვალოს, რომელშიც 10-12 გროსმაისტერი მიიღებდა მონაწილეობას.

დიახ, მაგრამ ამ საკითხზე ხომ იმსჯელა ფიდეს უკანასკნელმა კონგრესმა ლუგანოში და მოქმედი სისტემა უცვლელი დატოვა.

ვფიქრობ, რომ ფიდეს კონგრესის დელეგატების უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა დიდია გროსმაისტერის ნერვული დაძაბულობა, როდესაც იმ მოკლე დროში სამ ასეთ მატჩს თამაშობს. ამიტომ ერთხელ კიდევ ვიმეორებ, თუ პეტროსიანთან მატჩი წავაგე, პრეტენდენტთა ასპარეზობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას, თუ სისტემა შეიცვლება. ეი კიდევ რას გთავაზობთ: პარტიების რიცხვი ათიდან თექვსმეტამდე გაიზარდოს და მატჩებს შორის დიდი შესვენება იყოს.

რამდენიმე სიტყვა თქვენი მატჩის შესახებ პეტროსიანთან. როგორ დგას სეკუნდანის საკითხი?

იგი განპირობებულია რეგლამენტით. როგორც მსოფლიოს ჩემპიონს, ისე მეც უფლება გვაქვს სადებიუტო მომზადების დროს თეორიის სფეროში დავიხმაროთ სეკუნდანტების განუსაზღვრელი რაოდენობა, მაგრამ გადადებული პარტიის ანალიზში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ერთ სეკუნდანტს. ეს არის ჩემთვის გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი, ტ. პეტროსიანისთვის — გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი.

თუ არ ვცდები, თქვენ მეგობრობთ ამერიკელ გროსმაისტერ რობერტ ფიშერთან. რატომ იქცევა ფიშერი ზოგჯერ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად?

დიახ, მე ფიშერის მეგობარი გახლავართ, ეს ჩემთვის პატივად მომაჩნია, ვამაყობ ამ მეგობრობით. ზოგიერთი უპასუხისმგებელი ჟურნალისტი ფიშერს სულ სხვანაირად გვიხატავს, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ისინი სერიოზულად იღებენ ფიშერის მიერ ხუმრობით ნათქვამს. ფიშერს უყვარს დასცინოს იმათ, ვინც მისადმი არაკეთილმოსურნეულ არის გაწყობილი. ამავე დროს ფიშერს გამოუმუშავდა უნდობლობის კომპლექსი, რაც მეტისმეტად მძიმე ბავშვობით უნდა აიხსნას. ფიშერმა ყველაფერს თავისით მიაღწია, მისთვის დახმარება არავის გაუწევია. იგი ჯერ კიდევ ბავშვობისას გახდა მრისხანე მეტოქე ამერიკელი გროსმაისტერებისათვის, რომლებიც მას მტრულად ექცეოდნენ. ფიშერი ასეთ დამოკიდებულებაზე იმით უპასუხებდა, რომ სასტიკად ამარცხებდა მათ. ამიტომ ფიშერს არა ჰყავდა და არცა ჰყავს არავ ერთი მეგობარი ამერიკული ჭადრაკის სამყაროში.

რაც შეეხება ვ. წ. ფიშერის უცნაურობას, ეს აიხსნება მისი სიჯიუტით თუნდაც უმნიშვნელო საქმეებში. მაგრამ არა ღირს ვამტკიცებდეთ მას ამის გამო.

რა შეიძლება თქვას მისი ძალის შესახებ?

ფიშერი მეტად ძლიერად თამაშობს. ეს გახლავთ თანამედროვეობის ყველაზე გამოჩენილ გროსმაისტერთა პირველი ოთხეულის მოთამაშე. მე ამ ოთხეულს ვაკავებ ბოტვინიკს, სმისლოვს, ტალსა და ფიშერს.

ხომ არ ფიქრობთ მონაწილეობა მიიღოთ ა. რუბინშტეინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელიც პოლიანიცა-ზდრუიში გაიმართება?

ყველაფერი დამოკიდებულია ტურნირის შემადგენლობაზე. მე მაინტერესებს შეჯიბრებანი მხოლოდ ძლიერი შემადგენლობით.

ესპანელ ოსტატთა ბრძოლა

ბარსელონა. (საკ. კორ.). ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურნირებზე ბარსელონელ ოსტატ ალბერტ ბეგეგეს ერთ-ერთ ოპონენტად ერგო ცნობილი ოსტატი